

ვ. მ. ვასნეცოვი — „რაინდი გზაჯვარედინზე"

# რუსეთის მუზეუმებიდან ახლად მიღებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები

## შალვა ამირანაშვილი

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე, პარტიისა და ხელისუფლების დიდი მზრუნველობის შედეგად გადაიქცა სახვითი ხელოვნების ნამდვილ საუნჯედ. მუზეუმის ექსპოზიციაში სრული სახით წარმოდგენილია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მხატვრული კულტურა, რომელიც შინაარსისა და მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების მიხედვით, გარკვეული ადგილი უჭირავს ხელოვნების ზოგად ისტორიაში. ექსპოზიციაში ნათლად ნაჩვენებია, რომ საბჭოთა პერიოდის ქართველი ოსტატების შემოქმედება აღმოცენდა და განვითარდა ქართული ხელოვნების რეალისტურ ტრადიციებზე და იგი ამჟამად წარმატებით ეფუძნება სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს.

მეორე წელია მუზეუმში არსებობს მხატვრული ფონდების მუდმივი ექსპოზიცია, რომელიც მოწოდებულია მშრომელთა ფართო მასებში გაწიოს მხატვრული კულტურის პროპაგანდა, გააცნოს მათ საბჭოთა ხელოვნების მიღწევები, გამოამზეუროს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მხატვრული მემკვიდრეობა. მუზეუმის ექსპოზიცია მიზნად ისახავს გამოავლინოს ქართული მხატვრული კულტურის დამოუკიდებელი სახე. მისი შინაგანი ძალა სწორედ იმით გამოიხატებოდა, რომ უცხო ქვეყნების მიღწევები მხატვრული კულტურის დარგში აითვისა და გარდაქმნა საკუთარი ტრადიციის მიხედვით, მისცა მათ ეროვნული სახე, გაამდიდრა ქართული კულტურის შინაარსი, მიანიჭა მას მსოფლიო მნიშვნელობა.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი 1934 წელს დაარსდა. მიუხედავად ამისა, მუზეუმის მხატვრული ფონდების სიმდიდრე, მათი მხატვრულ-ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა აყენებს მას საბჭოთა კავშირის მოწინავე მუზეუმთა რიგში. მუზეუმის ზოგიერთი კოლექცია უნიკალურია. განსაკუთრებით ძველი ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები და ტიხრული მინანქრები.

საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მუზეუმის ექსპოზიციაში. ქართველი ოსტატების მიერ შექმნილი არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ამშვენებს მუზეუმის გამოფენას. ყველაზე დიდი დარბაზი უკავია თემატიკურ გამოფენას — დიდი ბელადები ლენინი და სტალინი სახვით ხელოვნებაში. ხელოვნების განყოფილება სისტემატურად იზრდება და ფართოვდება. ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენებიდან საუკეთესო ნიმუშები ყოველწლიურად გადაეცემა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

მუზეუმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს: ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარება მნახველს უჩვენოს ხელოვნების ზოგად ფონზე და ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ ერების და ქვეყნების მხატვრულ კულტურას, რომლებთან საქართველოს ისტორიულად კულტურული ურთიერთობა ჰქონდა. ბუნებრივია, რომ დიდი რუსი ხალხის ხელოვნების სათანადო ჩვენება დარგების მიხედვით მუზეუმისათვის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს შეადგენს.

ხელოვნების მუზეუმის ძირითად ფონდს შეადგენს საქართველოს ეროვნული გალერეის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმისა და უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის კოლექციები. მუზეუმს 1945 წელს გადმოეცა სამუზეუმო განძეულობა, რომელიც საქართველოდან გატაცებული იყო მენშევიკების მიერ. საქართველოს მუზეუმებს დაუბრუნდა ის ისტორიული და მხატვრული ფონდებიც, რომლებიც საქართველოდან გაზიდულ იქნა მეფის მთავრობის მიერ. ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის



XVII ს-ის უცნობი იტალიელი მხატვარი — „ნიმფა პანს გაურბის". ზეთი

და შემდეგ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს განკარგულებით მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმების ფონდებიდან საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადმოეცა რუსული ხელოვნების, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნების სახვითი ხელოვნების უძვირფასესი კოლექციები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ერმიტაჟმა დიდი სიუხვე გამოიჩინა, გადმოსცა რა ჩვენს მუზეუმს 425 ექსპონატი. ჩვენი მუზეუმის ფონდში გადმოსულია:

ძველი ეგვიპტის ხელოვნებიდან ბრინჯაოს ქანდაკებანი: ოსირისი, ამონრა, ისიდა ჰორუსით ხელში, ანუბისი, აპისი, ტოთი, სხვადასხვა მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობის მცირე ქანდაკებანი, კოპტური წარმოშობის სახიანი ქსოვილები და სხვ.

ანტიკური ხელოვნების კოლექციიდან — სხვადასხვა სახის და ფორმის მოხატული ვაზების კარგად შერჩეული ნიმუშები, რომელიც ეხება ბერძნულთა, მისი მხატვრულ ნაწარმოებთა ნიმუშები, პორტრეტები, ტანაგრის ტიპის მცირე ქანდაკებანი, ბრინჯაოს სხვადასხვა ფორმისა და ხმლის ბურბლი, იტალიური რიტონი, ეტრუსკული ბრინჯაოს სარკე და სხვ.;

ფრანგული კოლექციიდან დიდი გობელენი, 1760 წ. (4×5,15 მტ.) ესთერის ნადიმის გამოსახულებით; გობელენი-ვერდიური (2,88×2,70 მტ.); XVIII ს. სურათები ჟ. გრეზე — „ნესადგური", დიუგე „პეიზაჟი"; იტალიური სკოლის „ნიმფა, რომელიც პანს გაურბის", XVII საუკუნის გალათეას ტრიუმფი, XVII; დედა ბავშვებითურთ XVII და სხვ.;

გრავიურული ხელოვნების ნიმუშებიდან XV—XIX ს. ს. გამოჩენილი ევროპელი ოსტატების ნაწარმოებები და ევროპული ფაიფურის ძვირფასი კოლექცია, რომელიც შეიცავს ევროპის ქვეყნების თითქმის ყველა ცნობილ მარკას.

ხელოვნების მუზეუმს დიდი დახმარება გაუწია ტრეტიაკოვის გალერეამ და აღმოსავლეთ ქვეყნების კულტურის მუზეუმმა. ამ უკანასკნელმა ჩვენს მუზეუმს გადმოსცა ძველი და ახალი ირანის ხელოვნების ნიმუშები, რომელთაც დიდი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. წელს ტრეტიაკოვის გალერეამ საქართველოს ხელოვნების მუზეუმს დაუთმო ძველი რუსული დაზგური ფერწერის მდიდარი კოლექცია. ამგვარად ხელოვნების მუზეუმს საშუალება აქვს წარმოადგინოს ძველი რუსული ხელოვნების განვითარება ყველა სკოლის მიხედვით.

რუსული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დახმარების შედეგად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში სრული სახით წარმოდგენილია მე-18 და მე-19 საუკუნეების პირველი ნახევრის რუსული ხელოვნება. მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილია ოსტატები: ლევიცკი, ბოროვიკოვსკი, ტროპინინი, ბრიულოვი, ბასინი, სილვესტრ შჩედრინი, ზარიანკო, ბოგოლიუბოვი, ლაგორიო, აივაზოვსკი, ვ. მაკოვსკი, კ. მაკოვსკი, მაკაროვი, ვასილიევი, შიშკინი, კრამსკოი, ა. ვასნეცოვი, ვ. ვასნეცოვი, კუინჯი, რეპინი, სურიკოვი და სხვები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ხელოვნება შედარებით უფრო ნაკლებად არის წარმოდგენილი. დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დახმარებით მუზეუმი აღნიშნულ ხარვეზსაც შეავსებს.

დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობით საქართველოს ხელოვნების მუზეუმი გააფართოვებს თავისი მუშაობის არეს და უფრო წარმატებით შეასრულებს საპატიო ამოცანას მშრომელთა კულტურული მომსახურების დარგში.

მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტივი ამაყობს იმით, რომ მას წილად ხვდა საპატიო ამოცანა — გააცნოს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მასებს კაცობრიობისა და თავისი ქვეყნის მხატვრული კულტურის ნიმუშები.



ფრანგული გობელენი

ფრაგმენტი. 1760 წ.




დიურერი „სამსონის ლომთან შებრძოლება“. ოფორტი